საშემოდგომო ფინიშიც აქვეა

ბაქო. ცენტრალური სტადიონი. 1 სექტემბერი.

“ნეფთჩი” (ბაქო) – “დინამო” (თბილისი) 3:3 (2:0).

“ნეფთჩი”: კრამარენკო, ღარიბოვი, ნურმამედოვი, უზბეკოვი, ნამაზოვი, ტ. აბასოვი, ჯავადოვი, რახმანოვი, ბანიშევსკი, ყურბანოვი (ალიევი), შიხლაროვი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი (სულაქველიძე), გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (კოსტავა), შენგელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

გოლები გაიტანეს: ბანიშევსკიმ (მე–18 წუთი), აბასოვმა (25), შენგელიამ (49, 76), ჯავადოვმა (65), დარასელიამ 69).

დუბლიორები – 1:2 (თბილისელთაგან ორივე გოლი გაიტანა მუმლაძემ).

“ფახთაქორთან” სასტიკი მარცხის შემდეგ (საზღვარგარეთული ტურნედან ახლად დაბრუნებულმა “ნეფთჩიმ” ძალზე სუსტად ჩაატარა ეს მატჩი) ბაქოელ ფეხბურთელებს აუცილებლად ესაჭიროებოდათ რეაბილიტაცია საკუთარი მაყურებლის წინაშე, საამისოდ კი ჩემპიონატის ლიდერზე უკეთეს მეტოქეს გუნდი ვერც ინატრებდა. “ნეფთჩიმ” ამ მატჩში “ბეტონებისა” და “ბოქლომის” ყველა თეორია დაივიწყა, შეტევა დაისახა მიზნად და საბოლოოდ ის მოხდა, რომ შეხვედრა სანახაობრივად დაინტერესო გამოდგა, და ბუნებრივია, მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. მართალია, სულისშემხუთველმა სიცხემ მეტოქეებს საშუალება არ მისცა ბოლო წუთებამდე შეენარჩუნებინათ ტემპი, მაგრამ უკომპრომისო, შემტევი ფეხბურთის ტაქტიკამ მაინც თავისი, სასიკეთო დაღი დაასვა მთელ მატჩს – უხვი იყო გოლები, საგოლე სიტუაციები კი იმდენი, სხვა ორ მატჩს ეყოფოდა.

პირველი წუთებიდანვე მოწინააღმდეგეებს ერთმანეთის სისუსტეების ძებნა არ დაუწყიათ, ისე პირდაპირ გადავიდნენ საქმეზე.

დარასელიას, ბანიშევსკის, გუცაევსა და ისევ ბანიშევსკის უკვე პირველივე 15 წუთის განმავლობაში შეეძლოთ ანგარიშის გახსნა. ამ დღეს განსაკუთრებული მონდომებით იბრძოდა მასპინძელთა ვეტერანი და შემთხვევითი არ იყო, რომ მე–18 წუთზე თბილისელთა კარში გატანილი პირველი გოლის ავტორი სწორედ ბანიშევსკი გახდა – 1:0. ხუთიოდე წუთის შემდეგ კი ლამაზი უკუდარტყმით აბასოვმა ორამდე გაზარდა ანგარიში.

ასეთ დასაწყისს სტუმრები არ ელოდნენ, მაგრამ მათს თამაშს დაბნეულობის კვალიც არ დასტყობია, პირიქით, “დინამომ” უფრო აგრესიულად შეუტია. ტაიმის დამთავრებამდე მასპინძელთა კარი ერთთავად ბეწვზე ეკიდა – ძელმა აისხლიტა თბილისელთა კაპიტნის დარტყმა, მშვენიერი შესაძლებლობა დაკარგა შენგელიამ. ყიფიანი ოსტატურად გაცდა თითქმის მთელ ნახევარდაცვასა და დაცვას, მაგრამ მას ზედ კართან აართვეს ბურთი თავგანწირვით მოთამაშე ბაქოელებმა. გოლი არ ჩანდა, თუმცა აშაკრად იგრძნობოდა, რომ ეს ანგარიში შეიცვლებოდა.

49–ე წუთზე შენგელიას ზედიზედ ორჯერ მიეცა ხელსაყრელი შესაძლებლობა. პირველ შემთხვევაში კრამარენკომ ითამაშა კარგად, მეორედ კი მ. მაჩაიძის მოწოდებულ ბურთს როგორც იქნა ზუსტი მისამართი მოუძებნა თბილისელმა ფორვარდმა – 2:1.

65–ე და 69–ე წუთებზე თავი გამოიჩინეს ჯავადოვმა და დარასელიამ – 3:2. და ბოლოს, სულ რაღაც ათიოდე წუთის შემდეგ “დინამომ” მაინც მიაღწია საწადელს.

თბილისელებმა მარცხენა ფლანგიდან გაითამაშეს ჯარიმა, კართან ჩაწოდებულ ბურთს მიმართულება შეუცვალა შენგელიამ – 3:3.

ამის შემდეგ ორივე გუნდს კიდევ ჰქონდა ანგარიშის შეცვლის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ, ეტყობა მეტოქეებს სავსებით აძლევდა ხელს თითო ქულა, ტემპმაც იკლო და ისინიც მშვიდობიანად დასცილდნენ ერთმანეთს.

გუშინ თბილისის "დინამო" ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად გაემგზავრა იუგოსლავიაში. 13 სექტემბერს კი უეფა–ს თასის გათამაშების პირველი მატჩია. აქვე იწყება ჩემპიონატის საშემოდგომო ფინიშიც, რომელიც, იმედია საშემოდგომო ფერისავე გამოდგება. ამას გვათქმევინებს კოლექტივში შექმნილი საბრძოლო განწყობილება. გუნდის დღევანდელი სათამაშო პოტენცია, და ისიც, რომ სექტემბერ–ოქტომბერი თბილისის "დინამოსთვის" ტრადიციულად მოსავლიანი პერიოდია.

ბ. ირემაძე.
"ლელო", 3 სექტემბერი, 1978 წ.